სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 ნოემბერი 2024

N 673/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციაზე“სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-12 და მე-13 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციაზე“ N63 სკოპინგის დასკვნა;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N63 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/673-21-4-202411271623